

ხელოს მუნიციპალიტეტში 6 თანამდებობის პირს ქონებრივი დეკლარაცია არასრულად აქვს შევსებული, რაც საჯარო სამსახურის ბიუროს მხრიდან კანონით დადგენილი რეაგირების საფუძველი უნდა გახდეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მიერ 2018 წლის დეკემბერში მუნიციპალიტეტის 20 თანამდებობის პირის დეკლარაციების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 4 შემთხვევაში თანამდებობის პირები საჯარო სამსახურს ვერძო სანარმოებში დირექტორობას უთავსებენ, რაც კანონმდებლობის დარღვევაა, 2 შემთხვევაში კი მათ სანარმოში საკუთარი წილები არ აქვთ მითითებული და არც დროებითი მინდობით აქვთ გადაცემული სხვა პირებზე, როგორც ამას საჯარო დანსებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონი მოითხოვს. ასევე, 2 შემთხვევაში თანამდებობის პირებმა არასრულად მიუთითეს მათი და მათი ოჯახის წევრების მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება.

იზოლდა სურმანიძე

ხელოს საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე



იზოლდა სურმანიძეს 2018 წლის 6 მარტს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული საკუთრებაში არსებული 5 000 კვ.მ. მიწის [ფართი](#) ხელოს სოფელ ყანჩაურში. ასევე, იზოლდა სურმანიძე [„სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი სხალთა 2014“-ის](#) დირექტორია, რაც საჯარო დანსებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონს ეწინააღმდეგება¹.

ნარგიზ დეკანაძე

ხელოს საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე



ნარგიზ დეკანაძეს 2018 წლის 23 ოქტომბერს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული თავისი სამენარმეო საქმიანობა, ის შპს [„გაზფეთი ხელოს“](#) 34%-იანი წილის მფლობელია. ნარგიზ დეკანაძემ კუთვნილი წილი დროებითი მინდობის საფუძველზე სხვა პირს უნდა გადასცეს, როგორც ამას საჯარო დანსებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მე-13 მუხლი მოითხოვს.

ირაკლი ჯორბენაძე

ხელოს საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე



ირაკლი ჯორბენაძეს 2018 წლის 17 იანვარს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული საკუთრებაში არსებული 1 502 კვ.მ. მიწის [ფართი](#) ხელოს სოფელ დეკანაშვილებში. ასევე, ირაკლი ჯორბენაძეს არ აქვს აღნიშნული სამენარმეო საქმიანობა - ის შპს [„კავკასია - 2013“-ის](#) 100% წილის მფლობელი და დირექტორია. სანარმოში დირექტორობა და კუთვნილი წილების მინდობით სხვა პირზე გადაუცემლობა საჯარო დანსებულებაში ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის შესახებ კანონის მოთხოვნათა დარღვევა².

ნუგზარ სოლომონიძე

ხელოს საკრებულოს ფრაქცია „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისკენ“ თავმჯდომარე



ნუგზარ სოლომონიძეს 2018 წლის 18 იანვარს შევსებულ [დეკლარაციაში](#) აღნიშნული აქვს თავისი სამენარმეო საქმიანობა, ის კოოპერატივ [„რკ ნერუს“](#) დირექტორი და გამგეობის წევრია. კოოპერატივის დირექტორობით სოლომონიძე კანონმდებლობის მოთხოვნებს არღვევს.

ლევან მახარაძე

ხელოს საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ქრისტიან კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე



ლევან მახარაძეს 2018 წლის 8 მარტს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული თავისი სამენარმეო საქმიანობა, ის შპს [„ლერონში“](#) 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორია. სანარმოში დირექტორის პოზიციის დაკავებით ლევან მახარაძე ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მოთხოვნებს არღვევს. გარდა ამისა, ამავე კანონის თანახმად, მან კუთვნილი წილი დროებითი მინდობის საფუძველზე სხვა პირს უნდა გადასცეს.

გურამ დეკანაძე

ხელოს მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი



გურამ დეკანაძეს 2018 წლის 30 ნოემბერს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული თავისი სამენარმეო საქმიანობა, ის 30%-იანი წილის მფლობელია შპს [„ატარაში“](#). გარდა იმისა, რომ დეკანაძეს აღნიშნული წილის შესახებ დეკლარაციაში უნდა მიეთითებინა, მას აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე 30%-იანი წილი მინდობით სხვა პირისთვის უნდა გადაეცა.

კვლევაში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მიმართავს საჯარო სამსახურის ბიუროს შეისწავლოს აღნიშნული პირების ქონებრივი დეკლარაციები და იმოქმედოს კანონის შესაბამისად.

1 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550?publication=63>

2 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550?publication=63>